



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების კულტურასა და ფილოსოფიის სწავლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი, პეტრიწიდან მოყოლებული იყო დასავლური ფილოსოფიური აზროვნების გაუყოფელი ნაწილი. მისი საკვლევი არეალი უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო დასავლური ცივილიზაციის ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან. ფილოსოფიის სწავლება და ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევა, კლასიკური ფორმით: თარგმნა, კვლევა და სწავლება როგორც ერთიანი პროცესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იღებს სათავეს. მის სათავეებთან იდგნენ დასავლეთში განსწავლული გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები.

ფილოსოფიის დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და სტრატეგია განუყოფელია ზოგადსაუნივერსიტეტო სწავლების კონცეფციისა და სტრატეგიისაგან.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიზანია- შეინარჩუნოს, გაამდიეროსა და განავითაროს ქართული ფილოსოფიური სამეცნიერო სკოლის ტრადიციები და ფილოსოფიური აზროვნების კულტურა, განახორციელოს სწავლება და კვლევა, როგორც საკუთრივ დასავლური ფილოსოფიური, ისე ქართული ფილოსოფიური აზრის მიმართულებით,

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მიზნად ისახავს, მისცეს სტუდენტს დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლება ფილოსოფიის პროფილის სასწავლო პროგრამებით, სწავლების სამივე - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, გააცნოს ფილოსოფიის განვითარების ისტორიული გზა და დასავლური აზროვნების ამოსავალი პრინციპები და ღირებულებები, მოამზადოს ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეებისა და პრობლემების დამოუკიდებლად, კრიტიკულად და კრეატიულად მოაზროვნე დარგის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

აზროვნების ფილოსოფიური წესი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ღირსეულ მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბების აუცილებელი საფუძველია. კურსდამთავრებული მზად იქნება ღირსეულად ჩაერთოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, ადექვატურად აღიქვას და გაიაზროს ადამიანის, სახელმწიფოს, კულტურის და ზოგადად კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები. იგი მაქსიმალურად ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და განვითარებას. იგი, აკადემიური თავისუფლების დაცვით, შესძლებს აწარმოოს სწავლება და კვლევა კოლეგიალურ აკადემიურ გარემოში, შექმნას სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ინოვაციური მიდგომებით, საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ცენტრების ჩართულობითა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია. იგი მოიცავს ფილოსოფიურ პრობლემათა ფართო სპექტრს.

ფილოსოფიის ინსტიტუტი ორიენტირებულია იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემებისა და სტრატეგიების კვლევაზე, რომლებიც ცდილობენ გაიაზრონ თანამედროვე ადამიანისა და სამყაროს მიმართების პრობლემა და გამოახონ გადაწყვეტის შესაძლებელი გზები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზროვნების კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის დაპირისპირების არსის ანალიზს, პოსტმოდერნული, ინფორმაციული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას. სამეცნიერო კვლევა ხორციელდება მეტაფიზიკისა და ეპისტემოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის, ზნეობის ფილოსოფიისა და ეთიკის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, ლოგიკის, რელიგიის ფილოსოფიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და ა.შ. მიმართულებით, რომლებიც ზოგადად ფილოსოფიური აზროვნების და კერძოდ, ქართული ფილოსოფიური სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია და დასავლური ფილოსოფიური აზროვნების კულტურისათვის აქტუალური და აღირებულია. ინსტიტუტის კვლევის შედეგები გამოქვეყნებულ სტატიებში, სახელმძღვანელოებში და მონოგრაფიებში აისახება.

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა სწავლებასთან დაკავშირებული სასწავლო-მეთოდური გამოცემები - საუნივერსიტეტო სასწავლო სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, აკადემიური მთარგმნელობითი საქმიანობა, სასწავლო ცნობარები და სხვ. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის განსაკუთრებული ყურადღების საგანი კვლავაც იქნება კვლევითი შედეგების გამოქვეყნება უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით დაფუძნებულ, 2011 წლიდან გამოშვალ საერთაშორისო ორენოვან სამეცნიერო ჟურნალში „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი“ და ინგლისურენოვან საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში „Culture & Philosophy“ „კულტურა და ფილოსოფია“.

ინსტიტუტის ფარგლებში დაარსდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; მისი ამოცანაა საერთაშორისო კვლევის ფოკუსში მოაქციოს ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საგანმანათლებლო, საერო და საეკლესიო მოღვაწეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, რაც ახლებურად წარმოაჩენს ქართული თეოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გზებს. საქართველოში პირველად ითარგმნა ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობა და განხორციელდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის ფუნდამენტური ანალიზი მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით. ცენტრი უცხოელ კოლეგებთან ერთად გააგრძელებს თანამედროვე რელიგიური და ფილოსოფიური დისკურსების აქტუალური პრობლემების კვლევას.

ინსტიტუტის თანამშრომლების მომავალშიც აქტიურად იქნებიან ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტებში და მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციებში, ფილოსოფიურ კონგრესებში, სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში, საგრანტო პროექტებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში. გაგრძელდება ინსტიტუტის ინიციატივით Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ექსკლუზიურად ფილოსოფიისა და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით, კოორდინაცია. ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად იმონაწილევენ თსუ-ს საზოგადოებრივ და აკადემიურ ცხოვრებაში.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Educational Research Institute of Philosophy

The culture of philosophically thinking and teaching philosophy has a long history in Georgia. It, since Ioane Petritsi, has been an integral part of Western philosophically thinking. Its study area is directly and closely linked to philosophical problems of Western civilization. Teaching philosophy and researching of philosophical problems, in its full form-translation, study and teaching as unified process, took start from the moment of TSU establishment, the founders of which were Western-educated prominent Georgian philosophers.

The strategy and conception of scientific research of philosophy is an integral part of general educational policy of TSU.

The main goal of Educational Research Institute of Philosophy at the faculty of Humanities of TSU is to hold, continue and develop the traditions and culture of philosophically thinking of Georgian philosophical school, to conduct teaching and researching activities in both direction- Georgian as well as Western philosophy.

In accordance with educational programs of philosophy, the Educational Research Institute of Philosophy aims to give student an education that is relevant to modern standards of the field, on all three - bachelor, master and doctoral- levels; to introduce the historical path of development of philosophy and the major principles and values of the Western thinking, to prepare competent and highly qualified specialists of the field who can independently, creatively and critically think on the fundamental ideas and problems of philosophy.

The mode of philosophical thinking is a necessary basis for a student to become a worthy citizen and dignified person. The undergraduate will always be ready to get involved in the life of state and society, comprehend and understand the problems and *facing* adequately a range of *challenges* that belong to up-to-dateness, promote and involve democratic values of civil society and humanity to the maximum. The undergraduate, in accordance of academic freedom, can provide learning and research activities in collegial environment, create scientific-research projects with innovative approaches, by the involvement of international educational - research centers and sharing international experience.

The field of research and scientific interest of the Educational Research Institute of Philosophy is quite large. It involves a vast spectrum of philosophical issues.

The Institute of Philosophy is directly oriented on the study of philosophical trends and tendencies, conceptions, research of contemporary philosophical problems and strategies, which are trying to understand problem of relation of modern man and world, and to find possible solutions, without which it is impossible to outline and solve philosophical problems. The special attention will be paid to analyzing the essence of confrontation between classical and non-classical paradigms of thinking, systematic and critical understanding of informative and knowledge based postmodern society. The scientific research will be conducted in the directions of metaphysics and epistemology, philosophy of history, moral philosophy and ethics, aesthetics, philosophy of culture, political and social philosophy, philosophy of language, logics, philosophy religion, philosophical anthropology, etc.; which are generally the traditional directions of philosophical thinking, in particular, Georgian Philosophical School, and are acknowledged and relevant to Western Philosophy. The results of the research have been conducted by Institute will be presented in articles, textbooks and monographs.

The educational-methodical editions related to the teaching –learning process, such as: manuals, reading-books, academic translation activities, Study References , etc. is the sphere of particular interest of the Institute.

For the Educational Research Institute of Philosophy has the special importance the publication of scientific studies in the bilingual international scientific journal “Philosophical-Theological Reviewer”, which has been issued since 2011 and English languaged international peer-reviewed scientific magazine “Culture & Philosophy” both magazines are established in collaboration between foreign colleagues.

In the frame of Institute is established Anthim the Iberian Scientific Research Center for Philosophy and Theology; one of its goals is to put the philosophical-theological, educational, cultural-historical significance of secular and ecclesiastical activities of Anthim the Iberian in the international research focus, which will reflect the ways of development of

Georgian theological and philosophical thinking in a new viewpoint. In Georgia for the first time has been translated Anthim the Iberian's works and is carried out fundamental analysis of theological and philosophical heritage by taking into consideration its theoretical and practical aspects. Center with collaboration between European scientists and philosophers continue to study actual issues of religious and philosophical discourses.

The staff of the Institute is actively involved in the public and academic life of TSU. One of the main priorities of the Institute is collaboration between foreign universities. The staff frequently participates in conferences, philosophical congresses, scientific programs, granted projects, joint publications, other academic activities. With the initiative of the Institute will be continued the coordination of Erasmus+ program exclusively for Philosophy and Cultural studies.

The Institute will promote new contacts, develop new theoretical and methodological approaches and conduct joint research projects, theoretical seminars and international symposiums.